ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ზაალ მამალაძეს

მუნიციპლიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

,,სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ" საქართველოს კანონით მუნიციპალიტეტისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების (ადგენს სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების ოქმს) დადგენილი წესით განხორციელება მუნიციპალიტეტის გამგებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაევალათ გამგებლის წარმომადგენლებს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილება უნდა განხორციელდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებაში და გამგებლის წარმომადგენლების უფლებამოსილებას დაემატოს აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება. შესაბამისად, წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

პროექტის ინიციატორი ვარ თავად, ხოლო პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი ბექა შენგელია.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

გამგებელი: ირაკლი კუჭავა

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“- დადგენილების შესახებ

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლის მე–4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხდება იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილი იქნა ცვლილება.

დადგენილების პროექტი, ასევე, შეესაბამისობაშია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლთან.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების წამყვანი სპეციალისტი: ნინო ვაჩეიშვილი